დანაშაულის ელემენტები*

სარჩევი

ზოგადი შესავალი

მუხლი 6: გენოციდი

შესავალი

6 (a) გენოციდი მკვლელობის გზით

6 (b) გენოციდი სერიოზული სხეულებრივი ან ფსიქიკური ზიანის მიყენებით

6 (c) გენოციდი ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნით, რომლებიც გათვლილი იყო ფიზიკური განადგურების გამოწვევაზე

6 (d) გენოციდი შობადობის თავიდან აცილებაზე მიმართული ზომების მიღებით

6 (e) გენოციდი ბავშვების იძულებითი გადაცემით

მუხლი 7: დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

შესავალი

7 (1) (a) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: მკვლელობა

7 (1) (b) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: განადგურება

7 (1) (c) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: დამონება

7 (1) (d) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: მოსახლეობის დეპორტაცია ან იძულებით გადაადგილება

7 (1) (e) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პატიმრობა ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში აღკვეთა

7 (1) (f) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: წამება

7 (1) (g)-1 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: გაუპატიურება

7 (1) (g)-2 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სქესობრივ მონობაში ყოლა

7 (1) (g)-3 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პროსტიტუციის იძულება

7 (1) (g)-4 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: იძულებითი ორსულობა

7 (1) (g)-5 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: იძულებითი სტერილიზაცია

7 (1) (g)-6 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სქესობრივი ძალადობა

7 (1) (h) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: დევნა

7 (1) (i) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პირთა იძულებით გაუჩინარება

7 (1) (j) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: აპართეიდი

7 (1) (k) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სხვა არაადამიანური ქმედებები

მუხლი 8 ომის დანაშაული

---

* **განმარტებითი შენიშვნა**: გენოციდის დანაშაულის, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის და ომის დანაშაულის ელემენტების სტუქტურა მიჰყვება რომის წესდების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების სტუქტურას. რომის წესდების ამ მუხლების ზოგიერთი პუნქტი მოიცავს რამოდენიმე დანაშაულის ჩამონათვალს. ამ შემთხვევებში, დანაშაულის ელემენტები მოყვანილია ცალკეულ პუნქტებში, რომლებიც შეესაბამება ყოველ დანაშაულს, შესაბამისი ელემენტების ამოცნობის ხელშეწყობის მიზნით.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

შესავალი

მუხლი 8 (2) (a)

8 (2) (a) (i) ომის დანაშაული: განზრახ მკვლელობა

8 (2) (a) (ii)-1 ომის დანაშაული: წამება

8 (2) (a) (ii)-2 ომის დანაშაული: არაადამიანური მოპყრობა

8 (2) (a) (ii)-3 ომის დანაშაული: ბიოლოგიური ექსპერიმენტები

8 (2) (a) (iii) ომის დანაშაული: განზრახ მძიმე ტაჯვის მიყენება

8 (2) (a) (iv) ომის დანაშაული: ქონების განადგურება და მითვისება

8 (2) (a) (v) ომის დანაშაული: მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის იძულება

8 (2) (a) (vi) ომის დანაშაული: სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა

8 (2) (a) (vii)-1 ომის დანაშაული: უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება

8 (2) (a) (vii)-2 ომის დანაშაული: თავისუფლების უკანონო აღკვეთა

8 (2) (a) (viii) ომის დანაშაული: მძევლად აყვანა

მუხლი 8 (2) (b)

8 (2) (b) (i) ომის დანაშაული: თავდასხმა სამოქალაქო პირებზე

8 (2) (b) (ii) ომის დანაშაული: სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმა

8 (2) (b) (iii) ომის დანაშაული: თავდასხმა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში მონაწილე პერსონალზე ან ობიექტებზე

8 (2) (b) (iv) ომის დანაშაული: არათანაზომიერი შემთხვევითი სიცოცხლის მოსპობის, სხეულის დაზიანების ან ზიანის გამოწვევა

8 (2) (b) (v) ომის დანაშაული: დაუცველ ადგილებზე თავდასხმა

8 (2) (b) (vi) ომის დანაშაული: იმ პირისათვის სიცოცხლის მოსპობა ან ჭრილობის მიყენება, რომელიც აღარ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმდებებში

8 (2) (b) (vii)-1 ომის დანაშაული: დროებით ცეცხლის შეწყვეტის ალმის უკანონო გამოყენება

8 (2) (b) (vii)-2 ომის დანაშაული: მოწინააღმდეგე მხარის დროშის, განმასხვავებელი ნიშნის ან ფორმის უკანონო გამოყენება

8 (2) (b) (vii)-3 ომის დანაშაული: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის, განმასხვავებელი ნიშნის ან ფორმის უკანონო გამოყენება

8 (2) (b) (vii)-4 ომის დანაშაული: ჟენევის კონვენციების განმასხვავებელი ემბლემის უკანონო გამოყენება

8 (2) (b) (viii) ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის გადადგილება, უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით, მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორის ფარგლებს შიგნით ან მის გარეთ

8 (2) (b) (ix) ომის დანაშაული: თავდასხმა დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

8 (2) (b) (x)-1 ომის დანაშაული: დასახიჩრება

8 (2) (b) (x)-2 ომის დანაშაული: სამედიცინო ან სამეცნირო ექსპერიმენტი

8 (2) (b) (xi) ომის დანაშაული: ვერაგული მკვლელობა ან ჭრილილობის მიყენება

8 (2) (b) (xii) ომის დანაშაული: დანდობაზე უარის თქმა

8 (2) (b) (xiii) ომის დანაშაული: მოწინააღმეგის ქონების განადგურება ან ხელში ჩაგდება

8 (2) (b) (xiv) ომის დანაშაული: მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის უფლებებისა ან სასამართლოში სარჩელის შეტანის შესაძლებლობის ჩამორთმევა

8 (2) (b) (xv) ომის დანაშაული: სამხედრო მოქმდებებში მონაწილეობის მიღების იძულება

8 (2) (b) (xvi) ომის დანაშაული: ძარცვა

8 (2) (b) (xvii) ომის დანაშაული: საწამლავის ან მოწამლული იარაღის გამოყენება

8 (2) (b) (xviii) ომის დანაშაული: აკრძალული აირის, სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება

8 (2) (b) (xix) ომის დანაშაული: აკრძალული ვაზნების გამოყენება

8 (2) (b) (xx) ომის დანაშაული: წესდების დანართში ჩამოთვლილი იარაღის, სამხედრო მასალების ან ტექნიკის ანდა ომის წარმოების მეთოდების გამოყენება

8 (2) (b) (xxi) ომის დანაშაული: პირადი ღირსების შელახვა

8 (2) (b) (xxii)-1 ომის დანაშაული: გაუპატიურება

8 (2) (b) (xxii)-2 ომის დანაშაული: სქესობრივ მონობაში ყოლა

8 (2) (b) (xxii)-3 ომის დანაშაული: იძულებითი პროსტიტუცია

8 (2) (b) (xxii)-4 ომის დანაშაული: იძულებითი ორსულობა

8 (2) (b) (xxii)-5 ომის დანაშაული: იძულებითი სტერილიზაცია

8 (2) (b) (xxii)-6 ომის დანაშაული: სქესობრივი ძალადობა

8 (2) (b) (xxiii) ომის დანაშაული: დაცვის ქვეშ მყოფი პირების სამხედრო მოქმედებებისგან დაცვის მიზნით გამოყენება

8 (2) (b) (xxiv) ომის დანაშაული: თავდასხმა ჟენევის კონვენციების განმასხვავებელი ემბლემების მატარებელ ობიექტებზე ან პირებზე

8 (2) (b) (xxv) ომის დანაშაული: შიმშილი როგორც ომის წარმოების მეთოდი

8 (2) (b) (xxvi) ომის დანაშაული: ბავშვების გამოყენება, გაწვევა და დაქირავება

მუხლი 8 (2) (c)

8 (2) (c) (i)-1 ომის დანაშაული: განზრახ მკვლელობა

8 (2) (c) (i)-2 ომის დანაშაული: დასახიჩრება

8 (2) (c) (i)-3 ომის დანაშაული: სასტიკი მოპყრობა

8 (2) (c) (i)-4 ომის დანაშაული: წამება

8 (2) (c) (ii) ომის დანაშაული: პირადი ღირსების შელახვა

8 (2) (c) (iii) ომის დანაშაული: მძევლად აყვანა

8 (2) (c) (iv) ომის დანაშაული: განაჩანის გამოტანა ან სასჯელის აღსრულება სათანადო სასამართლო განხილვის გარეშე

მუხლი 8 (2) (e)

8 (2) (e) (i) ომის დანაშაული: სამოქალაქო პირებზე თავდასხმა

8 (2) (e) (ii) ომის დანაშაული: თავდასხმა იმ პირებსა ან ობიექტებზე, რომლებიც ჟენევის კონვენციების განმასხვავებელ ემბლემებს ატარებენ

8 (2) (e) (iii) ომის დანაშაული: თავდასხმა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან სამშვიდობო მისიაში მონაწილე პერსონალსა ან ობიექტებზე

8 (2) (e) (iv) ომის დანაშაული: თავდასხმა დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე

8 (2) (e) (v) ომის დანაშაული: ძარცვა

8 (2) (e) (vi)-1 ომის დანაშაული: გაუპატიურება

8 (2) (e) (vi)-2 ომის დანაშაული: სქესობრივ მონობაში ყოლა

8 (2) (e) (vi)-3 ომის დანაშაული: იძულებითი პროსტიტუცია

8 (2) (e) (vi)-4 ომის დანაშაული: იძულებითი ორსულობა

8 (2) (e) (vi)-5 ომის დანაშაული: იძულებითი სტერილიზაცია

8 (2) (e) (vi)-6 ომის დანაშაული: სქესობრივი ძალადობა

8 (2) (e) (vii) ომის დანაშაული: ბავშვების გამოყენება, გაწვევა და დაქირავება

8 (2) (e) (viii) ომის დანაშაული: სამოქალაქო პირების გადაადგილება

8 (2) (e) (ix) ომის დანაშაული: ვერაგული მკვლელობა ან ჭრილილობის მიყენება

8 (2) (e) (x) ომის დანაშაული: დანდობაზე უარის თქმა

8 (2) (e) (xi)-1 ომის დანაშაული: დასახიჩრება

8 (2) (e) (x)-2 ომის დანაშაული: სამედიცინო ან სამეცნირო ექსპერიმენტი

8 (2) (e) (xii) ომის დანაშაული: მოწინააღმეგის ქონების განადგურება ან მითვისება

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

ზოგადი შესავალი

1. მე-9 მუხლის შესაბამისად, ეს დანაშაულის ელემენტები სასამართლოს ეხმარება მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების განმარტებასა და გამოყენებაში, წესდებასთან შესაბამისობაში. წესდების დებულებები, მათ შორის მუხლი 21 და მე-3 ნაწილში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები, გამოიყენება დანაშაულის ელემენტების მიმართ.

2. როგორც აღნიშნულია 30-ე მუხლში, პირი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივ პასუხისმეგბლობაში მიეცემა და დაეკისრება სასჯელი სასამართლის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისავის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის მატერიალური ელემენტები ჩადენილია განზრახვითა და შეცნობით. როდესაც დანაშაულის ელემენტებში არ არის აღნიშნული სუბიექტური მხარე გარკვეული ქმედებისათის, შედეგისა ან გარემოებისათვის, გაიგება, რომ გამოიყნება 30-ე მუხლში აღნიშნული შესაბამისი სუბიექტური მხარე, ე.ი. განზრახვა, შეცნობა ან ორივე. 30-ე მუხლით დადგენილი სტანდარტის გამონაკლისები, წესდების საფუძველზე, ამ უკანასკნელის შესაბამისი დებულებების თანახმად გამოსაყენებელი სამართლის წყაროების ჩათვლით, მითითებულია ქვემოთ.

3. განზრახვისა და შეცნობის არსებობა შეიძლება დადგინდეს შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

4. სუბიექტური მხარის იმ ელემენტაბთან მიმართებით, რომლებიც ითხოვენ შეფასებით გადაწყვეტილებას, როგორიცაა ტერმინები "არაადამიანური" და " მძიმე", არ არის აუცილებელი, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს პირადად მიეღო შეფასებითი გადაწყვეტილება, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ან მათი არარსებობა, როგორც წესი, არ არის განსაზღვრული ყოველი დანაშაულში ჩამოთვლილ დანაშაულის ელემენტებში.[1]

6. წესდებასა ან საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებში, კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალში არსებული "კანონსაწინააღმდეგობის" მოთხოვნა, როგორც წესი, არ არის განსაზღვრული დანაშაულის ელემენტებში.

7. დანაშაულის ელემენტების სტრუქტურა, როგორც წესი, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის ელემენტები ყურადღებას ამახვილებს თითოეულ დანაშაულთან დაკავშირებულ ქმედებაზე, შედეგებსა და გარემოებებზე, ისინი, როგორც წესი, ჩამოითვლება ამ თანმიმდევრობით;
- როდესაც ეს აუცილებელია, სუბიექტური მხარის გარკვეული ელემენტი ჩამოთვლილია გარკვეული ქმედების, შედეგის ან გარემოების შემდეგ;
- კონტექსტუალური გარემოებები ბოლოს არის ჩამოთვლილი.

8. დანაშაულის ელემენტებში გამოყენებისას, ტერმინს "დანაშაულის ჩამდენი პირი" გააჩნია ნეიტრალური ხასიათი პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის მიმართ. ელემენტები, სუბიექტური მხარის შესაბამისი ელემენტების ჩათვლით, გამოიყენება, mutatis mutandis, ყველა პირის მიმართ, რომლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს წესდების 25-ე და 28-ე მუხლების მიხედვით.

9. გარკვეული ქმედება შეიძლება შეადგენდეს ერთ ან რამოდენიმე დანაშაულს.

10. დანაშაულთა მოკლე დასახელებების გამოყენებას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

[1] ეს პუნქტი ზიანს არ აყენებს პროკურორის ვალდებულებას წესდების 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 6
გენოციდი

შესავალი

ყოველი დანაშაულში მოყვანილ ბოლო ელემენტთან მიმართებით:

- ტერმინი "კონტექსტში" ასევე მოიაზრებს თავდაპირველ ქმედებებს ჩამოყალიბებული მოდელის ფარგლებში;
- ტერმინი "აშკარა" წარმოადგენს ობიექტურ კვალიფიკაციას;
- 30-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტური მხარის ელემენტის ჩვეულებრივი მოთხოვნების მიუხედავად, და იმის აღიარების გათვალისწინებით, რომ გარემოებათა ცოდნა, ჩვეულებრივ, განიხილება გენოციდის ჩადენის განხრახვის მტკიცებისას, ამ გარემოებასთან დაკავშირებული სუბიექტური მხარის ელემენტის მიმართ არსებული შესაბამისი მოთხოვნილება, ამ უკანასკნელის არსებობისას, სასამართლოს მიერ დადგინდება ყოველ კონკრეტულ საქმეში.

მუხლი 6 (a)
გენოციდი მკვლელობის გზით

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა ჩაიდინა ერთი ან რამოდენიმე პირის მკვლელობა[2].

2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება.

4. ქმედება ჩადენილ იქნა ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედების აშკარა ერთობლიობის კონტექსტში ან წარმოადგენდა ქმედებას, რომელსაც თავისთავად შეეძლო გამოეწვია ამგვარი განადგურება.

მუხლი 6 (b)
გენოციდი სერიოზული სხეულებრივი ან ფსიქიკური ზიანის მიყენებით

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა სერიოზული სხეულებრივი ან ფსიქიკური ზიანი მიაყენა ერთ ან რამოდენიმე პირს[3].

2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება.

4. ქმედება ჩადენილ იქნა ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედების აშკარა ერთობლიობის კონტექსტში ან წარმოადგენდა ქმედებას, რომელსაც თავისთავად შეეძლო გამოეწვია ამგვარი განადგურება.

---

[2] ტერმინი "მკვლელობა" ურთიერთშენაცვლებადია ტერმინთან "სიცოცხლის მოსპობა".
[3] ეს ქმედება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ ამით აუცილებლად არ შემოფარგლება, წამების, გაუპატიურების, სქესობრივი ძალადობის ან არაადამიანური ან დამაცრიებელი მოპყრობის ქმედებებთან.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 6 (c)
გენოციდი ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნით, რომლებიც გათვლილი იყო ფიზიკური განადგურების გამოწვევაზე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა ცხოვრების გარკვეული პირობები შეუქმნა ერთ ან რამოდენიმე პირს.

2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება.

4. ცხოვრების პირობები გათვლილი იყო ამ ჯგუფის, მთლიანად ან ნაწილობრივ, განადგურებაზე[4].

5. ქმედება ჩადენილ იქნა ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედების აშკარა ერთობლიობის კონტექსტში ან წარმოადგენდა ქმედებას, რომელსაც თავისთავად შეეძლო გამოეწვია ამგვარი განადგურება.

მუხლი 6 (d)
გენოციდი შობადობის თავიდან აცილებაზე მიმართული ზომების მიღებით

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიიღო გარკვეული ზომები ერთი ან რამოდენიმე პირის მიმართ.

2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება.

4. მიღებული ზომები გათვლილი იყო ამ ჯგუფის შიგნით შობადობის თავიდან აცილებაზე.

5. ქმედება ჩადენილ იქნა ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედების აშკარა ერთობლიობის კონტექსტში ან წარმოადგენდა ქმედებას, რომელსაც თავისთავად შეეძლო გამოეწვია ამგვარი განადგურება.

მუხლი 6 (e)
გენოციდი ბავშვების იძულებითი გადაცემით

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იძულებით გადასცა ერთი ან რამოდენიმე პირი[5].

---

[4] ტერმინი "ცხოვრების პირობები" შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ ამით აუცლებალად არ შემოიფარგლება, არსებობისათვის იმ აუცილებელ საშუალებათა წინასწარ განზრახულ წართმევას, როგორიცაა საკვები ან სამედიცინო მომსახურება, ან სისტემატური გაძევება საცხოვრებელი ადგილებიდან.

[5] ტერმინი "იძულებით" არ შემოიფარგლება ფიზიკური ძალის გამოყენებით, არამედ შეიძლება ასევე მოიცავდეს ამგვარი პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენების ან იძულების მუქარას, როგორიცაა ძალადობის, თავისუფლების აღკვეთის და დაკავების შიში, ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ან იძულებითი ხასიათის გარემოს გამოყენება.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება.

4. გადაცემა მოხდა ამ ჯგუფიდან სხვა ჯგუფში.

5. პირი ან პირები 18 წელს მიუღწეველი იყო.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ პირი ან პირები 18 წლის ასაკს მიუღწეველი იყო.

7. ქმედება ჩადენილ იქნა ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედების აშკარა ერთობლიობის კონტექსტში ან წარმოადგენდა ქმედებას, რომელსაც თავისთავად შეეძლო გამოეწვია ამგვარი განადგურება.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 7
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

შესავალი

1. ვინაიდან მე-7 მუხლი ეხება საერთაშორისო სისხლის სამართლს, მისი დებულებები, 22-ე მუხლის შესაბამისად, მკაცრად უნდა იქნეს განმარტებული, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც ის მე-7 მუხლშია განსაზღვრული, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დანაშაულს, რომელიც იწვევს მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის მწუხარებას, და რომ ის განაპირობებს და შედეგად მოაქვს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, და ასევე ითვალისწინებს ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც მიუღებელია საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლისათვის, როგორც ეს აღიარებულია მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემებით.

2. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ყოველი დანაშაულის ბოლო ორი ელემენტი აღწერს იმ კონტექსტს, რომელშიაც უნდა ჩადენილიყო ქმედება. ეს ელემენტები აზუსტებენ სამოქალქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ მასშტაბურ ან სისტემატურ თავდასხმაში არსებით მოინაწილეობას და ამ ფაქტის ცოდნას. ამასთანავე, უკანასკნელი ელემენტი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ის მოითხოვდეს იმის დამტკიცებას, რომ დანაშაულის ჩამდენმა პირს უნდა სცოდნოდა თავდასხმის ყველა მახასიათებელი ნიშანი ან სახელმწიფოსა ან ორგანიზაციის გეგმისა ან პოლიტიკის ზუსტი დეტალები. სამოქალქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული განვითარებადი ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის შემთხვევაში, უკანასკნელი ელემენტის დებულება განზრახვის შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ ეს სუბიექტური მხარე სახეზეა, თუ დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამგვარი თავდასხმის ხელშეწყობა.

3. "სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა" ამ ელემენტების კონტექსტში გაიგება როგორც ქმედების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტში აღნიშნული მოქმედებების მრავალჯერად ჩადენას ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც განხორციელდა ამგავრი თავდახსმის ჩადენის გამათვალისწინებელი სახელმწიფოებრივი ან ორგანიზაციული პოლიტიკის გატარების ან ამგვარი პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით. არ არის აუცილებელი, რომ ეს ქმედებები შეადგენდეს სამხედრო თავდასხმას. გაიგება, რომ "ამგვარი თავდასხმის ჩადენის პოლიტიკა" მოითხოვს, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ აქტიურად შეუწყო ხელი ან წაახალისა ამგვარი თავდასხმა, მიმართული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.[6]

მუხლი 7 (1) (a)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: მკვლელობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა ერთი ან რამოდენიმე პირის მკვლელობა[7].

2. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

---

[6] პოლიტიკა, რომელიც თავდასხმის მიზნად სამოქალაქო მოსახლეობას ისახავს, ხორციელდება სახელმწიფოს ან ორგანიზაციის საქმიანობით. ამგვარ პოლიტიკის განხორციელება შეიძლება მოხდეს, განსაკუთრებულ გარემოებებში, წინასწარ განზრახული უმოქმედობით, რომელიც ცნობიერადაა მიმართული ამგვარი თავდასხმის წახალისებაზე. ამგვარი პოლიტიკის არსებობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის უმოქმედობის არსებობით.

[7] ტერმინი "მკვლელობა" ურთიერთშენაცვლებადია ტერმინთან "სიცოცხლის მოსპობა". ეს სქოლიო გამოიყენება ყველა ელემენტის მიმართ, რომელიც იყენებს ერთ-ერთ ამ კონცეფციას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (b)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: განადგურება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა ერთი ან რამოდენიმე პირის მკვლელობა[8], მათ შორის, მოსახლეობის ნაწილის განადგურებაზე გათვლილი ცხოვრების პირობების შექმნით.[9]

2. ქმედება გამოიხატა სამოქალაქო მოსახლეობის წევრთა მასობრივ მკველეობაში, ან ჩადენილი იყო როგორც მასობრივი მკვლელობის ნაწილი[10].

3. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (c)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: დამონება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა მფლობელობის უფლებასთან დაკავშრებული რომელიმე ან ყველა უფლებამოსილება ერთი ან რამოდენიმე პირის მიმართ, როგორიცაა ამ პირის ან პირების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება ან ბარტერული გაცვლა, ან მათზე თავისუფლების მსგავსი აღკვეთის დაკისრება.[11]

2. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (d)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: მოსახლეობის დეპორტაცია ან იძულებით გადაადგილება

ელემენტები

---

[8] ქმედება შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო სიცოცხლის მოსპობის სხვადასხვა მეთოდებით, როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირი გზით.

[9] ამგვარი პირობების შექმნა შეიძლება მოიცავდეს საკვებისა და სამედიცინო საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობის წართმევას.

[10] ტერმინი "ნაწილი" შეიძლება შეიცავდეს თავდაპირველ ქმედებას მასობრივი მკვლელობის ფარგლებში.

[11] გაიგება, რომ თავისუფლების ამგვარი აღკვეთა შეიძლება, ზოგიერთ გარემოებაში, მოიცავდეს იძულებითი შრომის მოთხოვნას ან პირის სხვაგვარად მომსახურეობით მდგომარეობამდე დაყვანას, როგორც ეს განსაზღვრულია 1956 წლის დამატებითი კონვენციით მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაუქმების შესახებ. ასევე გაიგება, რომ ამ ელემენტში აღწერილი ქმედება მოიცავს პირთა, კერძოდ, ქალების ან ბავშვების, ტრეფიკინგს.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოახდინა ერთი ან რამოდენიმე პირის დეპორტაცია ან იძულებით[12] გადაადგილება[13], საერთაშორისო სამართლით დაშვებული საფუძვლების არსებობის გარეშე, სხვა სახელმწიფოსა ან ადგილას გასახლების გზით ან სხვა იძულებითი მოქმედებით.

2. ეს პირი ან პირები კანონიერად იმყოფებოდნენ იმ რაიონში, საიდანაც ისინი დეპორტირებული ან გადაადგილებული იქნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამგვარი ყოფნის კანონიერების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (e)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პატიმრობა ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში აღკვეთა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დააპატიმრა ან სხვგვარად აღუკვეთა ერთ ან მეტ პირს ფიზიკური თავისუფლება.

2. ქმედების სიმძიმე იმგვარი იყო, რომ ის წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევას.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქმედების სიმძიმის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (f)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: წამება[14]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან მეტ პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა.

2. ეს პირი ან პირები დანაშაულის ჩამდენი პირის პატიმრობაში ან კონტროლის ქვეშ იმყოფეობდნენ.

3. ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა არ წარმოშობილა, ან არ ახასიათებდა, ან შემთხვევით არ მოჰყოლია მხოლოდ კანონიერ სანქციას.

[12] ტერმინი "იძულებით" არ შემოიფარგლება ფიზიკური ძალის გამოყენებით, არამედ შეიძლება ასევე მოიცავდეს ამგვარი პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენების ან იძულების მუქარას, როგორიცაა ძალადობის, თავისუფლების აღკვეთის და დაკავების შიში, ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ან იძულებითი ხასიათის გარემოს გამოყენება.
[13] "დეპორტირება ან იძულებით გადაადგილება" ურთიერთშეცვლადია ტერმინთან "იძულებით გადაადგილება".
[14] გაიგება, რომ ამ დანაშაულის ჩასადენად არ მოითხოვება რაიმე კონკრეტული მიზნის დამტკიცება.

4. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-1
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: გაუპატიურება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენი პირი შეიჭრა[15] პირის სხეულში ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლის ან დანაშაულის ჩამდენი პირის სხეულის რომელმე ნაწილში შეღწევა, თუნდაც უმნიშვნელოდ, სქესობრივი ორგანოს მეშვეობით, ან მსხვერპლის ანალურ ან გენიტალურ ნაპრალში შეღწევა ნებისმიერი ობიექტის ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილის მეშვეობით.

2. შეჭრა განხორციელდა ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებათ, ან შეჭრა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა.[16]

3. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-2
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სქესობრივ მონობაში ყოლა[17]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა მფლობელობის უფლებასთან დაკავშრებული რომელიმე ან ყველა უფლებამოსილება ერთი ან რამოდენიმე პირის მიმართ, როგორიცაა ამ პირის ან პირების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება ან ბარტერული გაცვლა, ან მათზე თავისუფლების მსგავსი აღკვეთის განხორციელება.[18]

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ამ პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მქონე ერთ ან მეტ მოქმდებაში.

3. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

---

[15] "შეჭრის" კონცეფცია გაიგება იმდენად ფართოდ, რამდენადაც ის შეიძლება იყოს გენდერულად ნეიტრალური.

[16] იგულისხმება, რომ პირს არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა ბუნებრივი, იძულებითი ან ასაკობრივი ქმედუუნარობის გამო. ეს სქოლიო გამოიყენება მე-7 მუხლის 1(g) პუნქტის მე-3, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტების შესაბამისი ელემენტების მიმართაც.

[17] ამ დანაშაულის რთული ხასიათის გათვალისწინებით, აღიარებულია, რომ მის ჩადენაში, საერთო დანაშაულებრივი მიზნის ნაწილის სახით, შეიძლება მიეღო მოანაწილეობა ერთზე მეტ პირს.

[18] გაიგება, რომ თავისუფლების ამგვარი აღკვეთა შეიძლება, ზოგიერთ გარემოებაში, მოიცავდეს იძულებითი შრომის მოთხოვნას ან პირის სხვაგვარად მომსახურეობით მდგომარეობამდე დაყვანას, როგორც ეს განსაზღვრულია 1956 წლის დამატებითი კონვენციით მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაუქმების შესახებ. ასევე გაიგება, რომ ამ ელემენტში აღწერილი ქმედება მოიცავს პირთა, კერძოდ, ქალების ან ბავშვების, ტრეფიკინგს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-3
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პროსტიტუციის იძულება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ერთი ან რამოდენიმე პირის ჩაბმა სქესობრივი ხასიათის ერთ ან რამოდენიმე მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ან სხვა პირმა მიიღო ან მოელოდა მიეღო ფულადი ან სხვა სახის სარგებელი სქესობრივი ხასიათის მოქმედებების სანაცვლოდ ან მათთან დაკავშირებით.

3. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-4
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: იძულებითი ორსულობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეზღუდა ერთი ან რამოდენიმე იძულებით დაორსულებული ქალის თავისუფლება, რომელიმე მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე გავლენის მოხდენის ან საერთაშორისო სამართლის სხვა მძიმე დარღვევების ჩადენის განზრახვით.

2. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-5
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: იძულებითი სტერილიზაცია

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს ჩამოართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი.[19]

[19] ჩამორთმევა არ არის განზრახული მოიცვას კონტრაცეპციის ღონისძიებებს, რომელთაც პრაქტიკაში არ გააჩნიათ მუდმივი მოქმდება.

2. ქმედება არ იყო გამართლებული არც დაინტერესებული პირის ან პირთა სამედიცინო ან საავადმყოფო მკურნალობით და არც მათი ნამდვილი თანხმობით განხორციელდა.[20]

3. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (g)-6
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სქესობრივი ძალადობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა სქესობრივი ხასიათის მოქმედება ერთი ამ რამოდენომე პირის წინააღმდეგ ან გამოიწვია ამგვარი პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. ამგვარი ქმედების სიმძიმე წესდების მე-7 მუხლის 1(g) პუნქტის სხვა ქმედებების მსგავსი იყო.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქმედების სიმძიმიას დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (h)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: დევნა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს უხეშად ჩამოართვა, საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ,[21] ფუნდამენტური უფლებები.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ეს პირი ან პირები დევნის საგნად აირჩია მათი ჯგუფური ან ერთობლიობისადმი კუთვნილების საფუძველზე, ან დევნის საგნად აირჩია ეს ჯგუფი ან ერთობლიობა, როგორც ასეთი.

3. ამგავრი არჩევა განხორციელდა პოლიტიკურ, რასობრივ, ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, გენდერულ (როგორც ის წესდების მე-7 მუხლითაა განსაზღვრული) ან სხვა საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიერებულია როგორც მიუღებელი.

4. ქმედება ჩადენილ იქნა წესდების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან კავშირში.[22]

[20] გაიგება, რომ "ნამდვილი თანხმობა" არ მოიცავს მოტყუებით მიღებულ თანხმობას.
[21] ეს მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება დანაშაულის ელემენტების ზოგადი შესავალის მე-6 პუნქტს.

5. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (i)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: პირთა იძულებით გაუჩინარება[23,24]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა:

(a) დააკავა, დააპატიმრა[25,26] ან გაიტაცა ერთი ან რამოდენიმე პირი; ან

(b) უარი განაცხადა დაკავების, დაპატიმრების ან გატაცების აღიარებაზე ან ამ პირის ან პირების ბედის ან ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაციის გაცემაზე;

2. (a) ამგვარ დაკავებას, დაპატიმრებას ან გატაცებას თან მოჰყვებოდა ან ახლავდა უარი თავისუფლების ამგვარი აღკვეთის აღიარებაზე ან ამ პირის ან პირების ბედის ან ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე.

(b) ამგვარ უარს წინ უძღოდა ან თან ახლდა თავისუფლების ამგავრი აღკვეთა.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ:[27]

(a) ამგვარ დაკავებას, დაპატიმრებას ან გატაცებას თან მოჰყვებოდა, მოვლენების ჩვეულებრივი წესით განვითარებისას, უარი თავისუფლების ამგვარი აღკვეთის აღიარებაზე ან ამ პირის ან პირების ბედის ან ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე;[28] ან

(b) ამგვარ უარს წინ უძღოდა ან თან ახლდა თავისუფლების ამგავრი აღკვეთა.

4. ამგავრი დაკავება, დაპატიმრება ან გატაცება განხორციელდა სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ ან მათი სანქციონირებით, დახმარებით ან თანხმობით.

5. თავისუფლების ამგვარი აღკვეთის აღიარების უარყოფა ან პირის ან პირთა ბედის ან ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაცემის უარი განხორციელდა სახელმწიფოსა ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ ან მათი სანქციონირებით ან დახმარებით.

6. დანაშაულის ჩამდენ პირს განზარხული ჰქონდა ამ პირის ან პირების სამართლის დაცვის სფეროდან გამორიცხვა დროის ხანგრძლივი ვადით.

7. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

---

[22] იგულისხმება (გაიგება), რომ არ არის აუცილებელი დამატებითი ფსიქიკური (სუბიექტური მხარის) ელემენტის არსებობა, გარდა მე-6 ელემნტში მოყვანილისა.

[23] ამ დანაშაულის რთული ხასიათის გათვალისწინებით, აღიარებულია, რომ მის ჩადენაში, საერთო დანაშაულებრივი მიზნის ნაწილის სახით, შეიძლება მიეღო მონაწილეობა ერთზე მეტ პირს.

[24] ეს დანაშაული შედის სასამართლოს იურისდიქციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე-7 და მე-8 ელემენტებში აღნიშნული თავდასხმა განხორციელდება წესდების ძალაში შესვლის შემდეგ.

[25] სიტყვა "დააპატიმრა" ასევე ვრცელდება იმ პირზეც, რომელიც განაგრძობდა არსებულ პატიმრობას.

[26] იგულისხმება, რომ გარკვეულ გარემოებებში დაკავება ან პატიმრობა შეიძლება კანონიერი იყოს.

[27] ეს ელემენტი, რომელიც აქ ამ დანაშაულის სირთულის გამო იქნა ჩასმული, წინააღმდეგობაში არ მოდის დანაშაულის ელემენტების ზოგად შესავალთან.

[28] იგულისხმება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი განაგრძობს არსებულ პატიმრობას, ეს ელემენტი დაკმაყოფილებული იქნებოდა, თუ დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ამგავრ უარს უკვე ჰქონდა ადგილი.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

8. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (j)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: აპართეიდი

ელემენტები

1. პირმა ჩაიდინა არაადამიანური ქმედება ერთი ან მეტი პირის მიმართ.

2. ამგავრი ქმედება წარმოადგენდა წესდების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ მოქმედებას, ან იყო ნებისმიერი ამგვარი მოქმედების მსგავსი ხასითის მქონე მოქმედება.[29]

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დანაშაულის ხასიათის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება ჩადენილი იყო ერთი რასობრივი ჯგუფის მიერ ნებიმიერი სხვა რასობრივი ჯგუფის სისტემატური ჩაგვრის ან მასზე ან მათზე ბატონობის დაკანონებული რეჟიმის კონტექსტში.

5. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამ ქმედებით ამგვარი რეჟიმის შენარჩუნება.

6. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

მუხლი 7 (1) (k)
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: სხვა არაადამიანური ქმედებები

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიაყენა ძლიერი ტანჯვა ან სერიოზული ზიანი სხეულებრივ, ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას არაჰუმანური ქმედების ჩადენის მეშვეობით.

2. ამგვარ ქმედებას გააჩნდა წესდების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერი მოქმედების მსგავსი ხასიათი.[30]

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დანაშაულის ხასიათის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება ჩადენილი იყო როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს.

[29] იგულისხმება, რომ "ხასიათი" მიუთითებს მოქმედების ბუნაბასა და სიმძიმეზე.
[30] იგულისხმება, რომ "ხასიათი" მიუთითებს მოქმედების ბუნაბასა და სიმძიმეზე.

მუხლი 8
ომის დანაშაული

შესავალი

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (c) და (e) ქვეპუნქტებში მოყვანილი ომის დანაშაულის ელემენტები ექვემდებარება მე-8 მუხლის მე-2 პუმქტის (d) და (f) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დანაშაულის ელემენტებს.

წესდების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ომის დანაშაულები განიმარტება შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის დადგენილ ფარგლებში, შესაბამის შემთხვევაში, საზღვაო შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ჩათვლით.

ყოველი დანაშაულის უკანასკნელ ორ ელემენტთან მიმართებით:

- არ არსებობს დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის ან მისი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათის დადმდგენი სამართლებრივი შეფასების მოთხოვნა;
- ამ კონტექსტში არ არსებობს დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ იმ ფაქტების ცოდნის მოთხოვნა, რომელთაც დაადგინეს კონფლიქტის საერთაშორისო ან საერთაშორისო ხასიათი;
- არსებობს მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის მოთხოვნა, რაც იგულისხმება ტერმინებში "მოხდა ამ კონტექსტში და დაკავშირებული იყო მასთან."

მუხლი 8 (2) (a) (i)
ომის დანაშაული: განზრახ მკვლელობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა ერთი ან რამოდენიმე პირის მკვლელობა.[31]

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 წლის რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.[32,33]

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.[34]

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

---

[31] ტერმინი "მკვლელობა" ურთიერთშენაცვლებადია ტერმინთან "სიცოცხლის მოსპობა". ეს სქოლიო გამოიყენება ყველა ელემენტის მიმართ, რომლიც იყენებს ერთ-ერთ ამ კონცეფციას.

[32] სუბიექტური მხარის ეს ელემენტი აღიარებს ურთიერთობას 30-ე და 32-ე მუხლებს შორის. ეს სქოლიო გამოიყენება მე-8 მულის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველი დანაშაულის შესაბამისი ელემენტების მიმართ, და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ელემენტების მიმართ, შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან საკუთრების სტატუსის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნასთან დაკავშირებით.

[33] ეროვნებასთან დაკავშირებით, იგულისხმება, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს სჭირდებოდა მხოლოდ იმის ცოდნა, რომ დაზარალებული პირი კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარეს ეკუთვნოდა. ეს სქოლიო ასევე გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველი დანაშაულის შესაბამისი ელემენტის მიმართ.

[34] ტერმინი "საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი" ასევე მოიცავს სამხედრო ოკუპაციას. ეს სქოლიო ასევე გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველი დანაშაულის შესაბამისი ელემენტის მიმართ.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 8 (2) (a) (ii)-1
ომის დანაშაული: წამება

ელემენტები[35]

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ისეთი მიზნით, როგორიცაა: ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, დაშინება ან იძულება ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას ეფუძნება.

3. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (ii)-2
ომის დანაშაული: არაადამიანური მოპყრობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (ii)-3
ომის დანაშაული: ბიოლოგიური ექსპერიმენტები

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირზე კონკრეტული ბიოლოგიური ექსპერიმენტი ჩაატარა.

2. ექსპერიმნეტმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ამ პირის ან პირების ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან მთლიანობას.

[35] ვინაიდან მე-3 ელემენტი მოითხოვს, რომ ყველა მსხვერპლი უნდა იყოს ჟენევის 1949 წლის რომელიმე ან რამოდენიმე კონვენციის "დაცვის ქვეშ მყოფი პირი", ეს ელემენტები არ შეიცავს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთის ან კონტროლის მოთხოვნას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. ექსპერიმენტი არ იყო განზრახული მკურნალობის მიზნით ჩასატარებლად და არ იყო გამართლებული როგორც სამედიცინო მოსაზრებებით, ისე ამ პირის ან პირების ინტერესებით.

4. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 წლის რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (iii)
ომის დანაშაული: განზრახ მძიმე ტაჯვის მიყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა, ან გამოიწვია მათი სხეულისა ან ჯანმრთელობის დაზიანება.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (iv)
ომის დანაშაული: ქონების განადგურება და მითვისება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გაანადგურა ან მიითვისა გარკვეული ქონება.

2. განადგურება ან მითვისება არ იყო გამართლებული სამხედრო აუცილებლობით.

3. განადგურება ან მითვისება ფართომასშტაბური იყო და თვითნებურად განხორციელდა.

4. ეს ქონება ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 8 (2) (a) (v)
ომის დანაშაული: მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის იძულება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთი ან რამოდენიმე პირი მოქმედებით ან მუქარით აიძულა, მიეღო მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის ან ძალების წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებში ან სხვაგვარად ემსახურა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (vi)
ომის დანაშაული: სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს ჩამოართვა სამართლიანი და ნორმალური სასამართლო განხილვის უფლება იმ სასამართლო გარანტიებზე უარის თქმით, რომლებიც, კერძოდ, ჟენევის 1949 წლის მესამე და მეოთხე კონვეციებითაა გათვალისწინებული.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (vii)-1
ომის დანაშაული: უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოახდინა ერთი ან რამოდენიმე პირის დეპორტაცია ან გადაადგილება სხვა სახელმწიფოსა ან ადგილას.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (vii)-2
ომის დანაშაული: თავისუფლების უკანონო აღკვეთა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოახდინა ერთი ან რამოდენიმე პირის თავისუფლების აღკვეთა გარკვეულ ადგილას ან განაგრძო ამგვარი თავისუფლების აღკვეთა.

2. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (a) (viii)
ომის დანაშაული: მძევლად აყვანა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დააკავა, დააპატიმრა ან სხვაგვარად აიყვანა მძევლად ერთი ან რამოდენიმე პირი.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დაემუქრა სიცოცხლე მოესპო, მიეყენებინა ჭრილობა ან გაეგრძელებინა ამ პირის ან პირების პატიმრობა.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის იძულება, ემოქმედათ ან მოქმედებისაგან თავი შეეკავებინათ და ეს წარმოადგენდა ამ პირის ან პირების უსაფრთხოებისა ან გათავისუფლების აშკარა ან ნაგულისხმევ პირობას.

4. ეს პირი ან პირები ჟენევის 1949 რომელიმე ან რამოდნიმე კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b)

მუხლი 8 (2) (b) (i)
ომის დანაშაული: თავდასხმა სამოქალაქო პირებზე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც ასეთი, ან ცალკეული სამოქალქო პირები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სამოქალაქო მოსახლეობის, როგორც ასეთის, ან ცალკეული სამოქალაქო პირების, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში, თავდასხმის ობიექტად არჩევა.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (ii)
ომის დანაშაული: სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო ობიექტები, ანუ ობიექტები, რომლებიც სამხედრო მიზანს არ წარმოადგენს.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სამოქალქო ობიექტების თავდასხმის ობიექტად არჩევა.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (iii)
ომის დანაშაული: თავდასხმა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში მონაწილე პერსონალზე ან ობიექტებზე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან გაეროს წესდების შესაბამისად მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში მონაწილე პერსონალი, ნაგებობები, მასალა, ქვედანაყოფები ან სატრანსპორტო საშუალებები.

3. დანაშაულის ჩამდენ პრის განზრახული ჰქონდა ამგვარად მონაწილე პერსონალის, ნაგებობების, მასალის, ქვედანაყოფების ან სატრანსპორტო საშუალებების თავდასხმის ობიექტად არცევა.

4. ამ პერსონალს, ნაგებობებს, მასალას, ქვედანაყოფებს ან სატრასპორტო საშუალებებს გააჩნდათ შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით სამოქალაქო მოსახლეობასთვის და ობიექტებისათვის გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამგვარი დაცვის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (iv)
ომის დანაშაული: არათანაზომიერი შემთხვევითი სიცოცხლის მოსპობის, სხეულის დაზიანების ან ზიანის გამოწვევა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმა იმგავარად იქნა განხორციელებული, რომ მას შეეძლო გამოეწვია სამოქალაქო პირების სიცოცხლის შემთხვევითი მოსპობა ან სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება, ანდა ბუნებრივი გარემოსათვის ფართომასშტაბური, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება და რომ ამგავრი სიცოცხლის მოსპობა, დაზიანება ან ზარალი თავისი ხასიათით იმგვარი იქნებოდა, რომ ის აშკარად აღემატებოდა მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო საერთო სამხედრო უპირატესობას.[36]

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ამგავრ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია სამოქალქო პირების შემთხვევითი სიცოცხლის მოსპობა ან დაჭრა ან ზიანი მიეყენებინა სამოქალაქო ობიქტებისათვის, ან ფართომასშტაბური, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზარალი მიყენებინა ბუნებრივი გარემოსათვის და რომ ამგავრი სიცოცხლის მოსპობა, დაზიანება ან ზარალი თავისი ხასიათით იმგვარი იქნებოდა, რომ ის აშკარად აღემატებოდა მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას. [37]

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (v)
ომის დანაშაული: დაუცველ ადგილებზე თავდასხმა[38]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა ერთ ან რამოდენიმე ქალაქზე, სოფელზე, საცხოვრებელზე ან შენობაზე.

2. ეს ქალაქი, სოფელი, საცხოვრებელი ან შენობა წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ღია იყო ოკუპაციისათვის.

---

[36] გამოთქმა "კონკრეტული და უშუალო საერთო სამხედრო უპირატესობა" გულისხმობს იმ სამხედრო უპირატესობას, რომლის წინასწარ გათვალისწინება დანაშაულის ჩამდენ პირს შეუძლია შესაბამის დროს. ამგვარი უპირატესობა შეიძლება დროის მიხედვით ან გეოგრაფიულად დაკავშირებული იყოს თავდასხმის ოქიეტთან, ან შეიძლება არ იყოს მასთან დაკავშირებული. ის ფაქტი, რომ ეს დანაშაული უშვებს კანონიერი შემთხვევითი სიცოცხლის მოსპობის ან დაკავშირებული ზიანის მიყენებას, არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის რაიმე დარღვევას. ეს დანაშაული არ განიხილავს ომის გამართლებულობის საკითხს ან ჯუს ად ბელლუმ სამართალთან დაკავშირებულ სხვა წესებს. ის ასახავს პროპორციულობის მოთხოვნას, რომელიც აუცლებელია შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში განხორციელებული ნებისმიერი სამხედრო მოქმედებების კანონიერების დასადგენად.

[37] ზოგადი შესავალის მე-4 პუნქტით დადგენილი ზოგადი წესის საწინააღმდეგოდ, ცოდნის ეს ელემენტი მოითხოვს დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ შეფასებითი დასკვნის გაკეთებას, როგორც ეს დანაშაულის ამ ელემენტშია აღწერილი. ამგვარი შეფასებითი დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს ამ დროისათვის დანაშაულის ჩამდენი პირის ხელთ არსებულ არსებით ინფორმაციას.

[38] ამ ადგილას ჟენევის 1949 წლის კონვენციების დაცვის სპეციალური ქვეშ მყოფი პირების ან საპოლიციო ძალების ყოფნის ფაქტი კანონისა და წესრიგის შენარჩუნების ერთაერთი მიზნით, თავისთავად არ გარდაქმინს ადგილს სამხედრო მიზნად.

3. ეს ქალაქი, სოფელი, საცხოვრებელი ან შენობა სამხედრო მიზანს არ წარმოადგენდა.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (vi)
ომის დანაშაული: იმ პირისათვის სიცოცხლის მოსპობა ან ჭრილობის მიყენება, რომელიც აღარ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოკლა ან დაჭრა ერთი ან რამოდენიმე პირი.

2. ეს პირი ან პირები აღარ იღებდა მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (vii)-1
ომის დანაშაული: დროებით ცეცხლის შეწყვეტის ალმის უკანონო გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა გამოიყენა დროებით ცეცხლის შეწყვეტის ალამი.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ამგვარი გამოყენება განახორციელა მოლაპარაკების წარმოების სიმულირების მიზნით, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირის მხრივ ამგვარი განზრახვა არ არსებობდა.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამგვარი გამოყენების აკრძალული ხასიათი.[39]

4. ქმედებას შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ქმედებას შეეძლო გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (vii)-2
ომის დანაშაული: მოწინააღმდეგე მხარის დროშის, განმასხვავებელი ნიშნის ან ფორმის უკანონო გამოყენება

ელემენტები

[39] სუბიექტური მხარის ეს ელემენტი აღიარებს ურთიერთობას 30-ე და 32-ე მუხლებს შორის. ტერმინი "აკრძალული ხასიათი" გულისხმობს უკანონობას.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა მოწინააღმდეგე მხარის დროშა, განმასხვავებელი ნიშანი ან ფორმა.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა, თავდასხმაში მონაწილეობის დროს, ამგვარი გამოყენება განახორციელა შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით აკრძალული წესით.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამგვარი გამოყენების აკრძალული ხასიათი.[40]

4. ქმედებას შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ქმედებას შეეძლო გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (vii)-3
ომის დანაშაული: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის, განმასხვავებელი ნიშნის ან ფორმის უკანონო გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშა, განმასხვავებელი ნიშანი ან ფორმა.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ამგვარი გამოყენება განახორციელა შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით აკრძალული წესით.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამგვარი გამოყენების აკრძალული ხასიათი.[41]

4. ქმედებას შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ქმედებას შეეძლო გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (vii)-4
ომის დანაშაული: ჟენევის კონვენციების განმასხვავებელი ემბლემის უკანონო გამოყენება

ელემენტები

[40] სუბიექტური მხარის ეს ელემენტი აღიარებს ურთიერთობას 30-ე და 32-ე მუხლებს შორის. ტერმინი "აკრძალული ხასიათი" გულისხმობს უკანონობას.

[41] სუბიექტური მხარის ეს ელემენტი აღიარებს ურთიერთობას 30-ე და 32-ე მუხლს შორის. კრიტერიუმი "უნდა სცოდნოდა", რომელიც მოითხოვება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (b) (vii) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების მიმართ, აქ არ გამოიყენება შესაბამისი აკრძალვების ცვალებადი და სარეგლამენტო ხასიათის გამო.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა ჟენევის კონვენციების განმასხვავებელი ემბლემა.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ამგვარი გამოყენება განახორციელა საბრძოლო მიზნებისათვის[42], შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით აკრძალული წესით.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამგვარი გამოყენების აკრძალული ხასიათი.[43]

4. ქმედებას შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ქმედებას შეეძლო გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხეულის მძიმე დაზიანება.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (viii)
ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის გადადგილება, უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით, მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორის ფარგლებს შიგნით ან მის გარეთ

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა:

(a) გადაადგილა,[44] უშულოდ ან არაპირდაპირი გზით, მისი საკუთარი მოსახლეობის ნაწილი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ან

(b) მოახდინა დეპორტაცია ან გადაადგილა ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობა ან მისი ნაწილი ამ ტეროტრიის ფარგლებს შიგნით ან მის გარეთ.

2. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (ix)
ომის დანაშაული: თავდასხმა დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე[45]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

[42] "საბრძოლო მიზნები" ამ გარემოებებში გულისმობს მიზნებს, რომლებიც უშულოდაა დაკავშირებული საბრძოლო მოქმედებებთან და არ მოიცავს სამედიცინო, რელიგიურ ან მსგავს საქმიანობას.
[43] სუბიექტური მხარის ეს ელემენტი აღიარებს ურთიერთობას 30-ე და 32-ე მუხლებს შორის. ტერმინი "აკრძალული ხასიათი" გულისხმობს უკანონობას.
[44] ტერმინი "გადაადგილება" საჭიროებს განმარტებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის დებულებებთან შესაბამისობაში.
[45] ამ ადგილას ჟენევის 1949 წლის კონვენციების დაცვის სპეციალური ქვეშ მყოფი პირების ან საპოლიციო ძალების ყოფნის ფაქტი კანონისა და წესრიგის შენარჩუნების ერთაერთი მიზნით, თავისთავად არ გარდაქმინს ადგილს სამხედრო მიზნად.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ერთი ან რამოდენიმე შენობა, რომელიც ემსახურებოდა რელიგიას, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას ან სასქველმოქმედო მიზნებს, ისტორიული ძეგლი, საავადმყოფო ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილი, რომელიც სამხედრო მიზანს არ წარმოადგენდა.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამ შენობის ან შენობათა, რომლებიც ემსახურებოდა რელიგიას, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას ან საქველმოქმედო მიზნებს, ისტორიული ძეგლის, საავადმყოფოს ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილის, რომელიც სამხედრო მიზანს არ წარმოადგენდა, თავდასხმის ობიექტად არჩევა.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (x)-1
ომის დანაშაული: დასახიჩრება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დაასახიჩრა ერთი ან რამოდენიმე პირი, კერძოდ, პირის ან პირთა სამუდამოდ დამახინჯებით ან ორგანოსა ან სხეულის ნაწილის სამოუდამოდ მწყობრიდან გამოყვანით ან მოკვეთით.

2. ქმედებამ ამ პირს ან პირებს სიცოცხლე მოუსპო ან სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა.

3. ქმედება არ იყო არც დაინტერესებული პირისა ან პირთა სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ჰოსპიტალური მკურნალობით გამართლებული და არც მათი ინტერსების სასაგრებლოდ განხორციელდა.[46]

4. ეს პირი ან პირები იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში.

5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (x)-2
ომის დანაშაული: სამედიცინო ან სამეცნირო ექსპერიმენტი

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა ერთ ან რამოდენიმე პირზე სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩაატარა.

2. ქმედებამ ამ პირს ან პირთ სიცოცხლე მოუსპო ან სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა ან მთლიანობა.

[46] თანხმობა არ წარმოადგენს გამართლებას ამ დანაშაულისათვის. დანაშაული კრძალავს ნებისმიერ სამედიცინო პროცედურას, რომელიც არ არის ნაკარნახევი დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით და არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო სტანდარტებს, რომლებიც, სამედიცინო ხასიათის მსგავს გარემოებებში, გამოყენებულ იქნებოდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც პროცედურის ჩამტარებელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და არანაირი გზით არა აქვთ შეზღუდული თავისუფლება. ეს სქოლიო გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (b) (x)-2 ქვეპუნქტის შესაბამისი ელემენტის მიმართაც.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. ქმედება არ იყო არც დაინტერესებული პირისა ან პირთა სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ჰოსპიტალური მკურნალობით გამართლებული და არც მათი ინტერსების სასაგრებლოდ განხორციელდა.

4. ეს პირი ან პირები იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში.

5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xi)
ომის დანაშაული: ვერაგული მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიიპყრო ერთი ან რამოდენიმე პირის ნდობა ან რწმენა იმისა, რომ მათ ჰქონდათ უფლებამოსილება ან ვალდებული იყვნენ მიეცათ შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვა.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამგავრი ნდობის ან რწმენის ღალატი.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოკლა ან დაჭღა ეს პირი ან პირები.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა ეს ნდობა ან რწმენა ამ პირის ან პირების სიცოცხლის მოსასპობად ან ჭრილობის მისაყენებლად.

5. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგის მხარეს მიეკუთვნებოდნენ.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xii)
ომის დანაშაული: დანდობაზე უარის თქმა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განაცხადა, რომ არავის დანდობა იქნება.

2. ამგავრი განცხადება ან ბრძანება გაცემული იყო მოწინააღმდეგის დაშინების ან საომარი მოქმედებების დაუნდობლობის საფუძველზე წარმართვის მიზნით.

3. დანაშაულის ჩამენი პირი ეფექტურად მეთაურობდა ან აკონტროლებთა დაქვემდებარებულ შეიარაღებულ ძალებს, რომლთაც მიეცათ ეს განცხადება ან ბრძანება.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xiii)
ომის დანაშაული: მოწინააღმეგის ქონების განადგურება ან ხელში ჩაგდება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გაანადგურა ან ხელში ჩაიგდო გარკვეული ქონება.

2. ეს ქონება მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებას წარმოადგენდა.

3. ეს ქონება განადგურებისაგან ან ხელში ჩაგდებისაგან დაცული იყო შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქონების სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

5. განადგურება ან ხელში ჩაგდება არ იყო გამართლებული სამხედრო აუცილებლობით.

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xiv)
ომის დანაშაული: მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის უფლებებისა ან სასამართლოში სარჩელის შეტანის შესაძლებლობის ჩამორთმევა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა გარკვეულ უფლებათა ან სარჩელის შეტანის შესაძლებლობის გაუქმება, მოქმედების შეჩერება ან სასამართლოში მათი მისაღებობის გაუქმება.

2. გაუქმება, მოქმედების შეჩერება ან მისაღებობის გაუქმება მიმართული იყო მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა წინააღმდეგ.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა გაუქმების, მოქმედების შეჩერების ან მისაღებობის გაუქმების მიმართვა მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა წინააღმდეგ.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xv)
ომის დანაშაული: სამხედრო მოქმდებებში მონაწილეობის მიღების იძულება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთი ან რამოდენიმე პირი აიძულა, მოქმედებით ან მუქარით, მიეღო მონაწილეობა ამ პირის საკუთარი ქვეყნის ან შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

2. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეები იყვნენ.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 8 (2) (b) (xvi)
ომის დანაშაული: ძარცვა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიითვისა გარკვეული ქონება.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა მესაკუთრისათვის საკუთრების ჩამორთმევა და მითვისება პირადი ან პერსონალური გამოყენებისათვის.[47]

3. მითვისება მესაკუთრის თანხმობის გარეშე მოხდა.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xvii)
ომის დანაშაული: საწამლავის ან მოწამლული იარაღის გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა ნივთიერება ან იარაღი, რომელიც ათავისუფლებს ნივთიერებას ამ იარაღის გამოყენების შედეგად.

2. ნივთიერება ისეთი ბუნების იყო, რომ მას შეეძლო, მისი ტოქსიკური თვისებების წყალობით, მოვლენების ჩვეულებრივი წესით განვითარებისას, გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან მიეყენებინა სერიოზული ზიანი ჯანმრთელობისათვის.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xviii)
ომის დანაშაული: აკრძალული აირის, სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა აირი ან სხვა ანალოგიური ნივთიერება ან მოწყობილობა.

2. აირი, ნივთიერება ან მოწყობილობა ისეთი ბუნების იყო, რომ მას შეეძლო, მისი ტოქსიკური თვისებების წყალობით, მოვლენების ჩვეულებრივი წესით განვითარებისას, გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა ან სერიოზული ზიანი მიეყენებინა ჯანმრთელობისათვის.[48]

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

---

[47] როგორც ეს ცხადია ტერმინიდან "პირადი ან პერსონალური გამოყენებისათვის", სამხედრო აუცილებლობით გამართლებული ჩამორთმევა არ შეადგენს ძარცვის დანაშაულს.

[48] არაფერი ამ ელემეტებში არ უნდა განიმარტოს, როგორც ქიმიური იარაღის შემუშავებასთან, წარმოებასთან, დაგროვებასა ან გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის არსებული ან განვითარებადი ნორმების შემზღუდავი ან მათთვის ზიანის მიმყენებელი.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xix)
ომის დანაშაული: აკრძალული ვაზნების გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა გარკვეული სახის ვაზნები.

2. ვაზნები ისეთი იყო, რომ მათი გამოყენება ეწინააღმდეგება შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართალს, ვინაიდან ისინი იშლება ან ადვილად ბრტყელდება ადამიანის სხეულში.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ ვაზნების ბუნება ისეთი იყო, რომ მათ გამოყენებას შეეძლო საჭიროების გარეშე დაემძიმებინა ტანჯვა ან ჭრილობის შედეგები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xx)
ომის დანაშაული: წესდების დანართში ჩამოთვლილი იარაღის, სამხედრო მასალების ან ტექნიკის ანდა ომის წარმოების მეთოდების გამოყენება

ელემენტები

[ელემენტები შედგენილ იქნება მას შემდეგ, რაც იარაღის, სამხედრო მასალების ან ტექნიკის ანდა ომის წარმოების მეთოდების ჩამონათვალი ჩაირთვება წესდების დანართში.]

მუხლი 8 (2) (b) (xxi)
ომის დანაშაული: პირადი ღირსების შელახვა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეურაცხყოფა მიაყენა, დაამცირა ან სხვაგვარად შელახა ერთი ან რამდენიმე პირის ღირსება.[49]

2. შეურაცხყოფის, დამცირების ან სხვაგვარი დარღვევის სიმძიმე იმგვარი ხარისხის იყო, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია პირადი ღირსების შელახვად.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-1
ომის დანაშაული: გაუპატიურება

[49] ამ დანაშაულისათვის, "პირები" შეიძლება ასევე გულისხმობდეს გარდაცვლილ პირებს. გაიგება, რომ დაზარალებილ პირს არ სჭირდებოდა შეურაცხყოფის, დამცირების ან სხვაგვარი შელახვის არსებობის პირადად ცოდნა. ეს შემადგენლობა მხედველობაში იღებს დაზარალებული პირის კულტურული წარმომავლობის არსებით ასპექტებს.

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენი პირი შეიჭრა[50] პირის სხეულში ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლის ან დანაშაულის ჩამდენი პირის სხეულის რომელმე ნაწილში შეღწევა, თუნდაც უმნიშვნელოდ, სქესობრივი ორგანოს მეშვეობით, ან მსხვერპლის ანალურ ან გენიტალურ ნაპრალში შეღწევა ნებისმიერი ობიექტის ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილის მეშვეობით.

2. შეჭრა განხორციელდა ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებათ, ან შეჭრა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა.[51]

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-2
ომის დანაშაული: სქესობრივ მონობაში ყოლა[52]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა მფლობელობის უფლებასთან დაკავშრებული რომელიმე ან ყველა უფლებამოსილება ერთი ან რამოდენიმე პირის მიმართ, როგორიცაა ამ პირის ან პირების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება ან ბარტერული გაცვლა, ან მათზე თავისუფლების მსგავსი აღკვეთის განხორციელება.[53]

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ამ პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მქონე ერთ ან მეტ მოქმდებაში.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-3
ომის დანაშაული: იძულებითი პროსტიტუცია

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ერთი ან რამოდენიმე პირის ჩაბმა სქესობრივი ხასიათის ერთ ან რამოდენიმე მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის

[50] "შეჭრის" კონცეფცია გაიგება იმდენად ფართოდ, რამდენადაც ის შეიძლება იყოს გენდერულად ნეიტრალური.

[51] იგულისხმება, რომ პირს არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა ბუნებრივი, იძულებითი ან ასაკობრივი ქმედუუნარობის გამო. ეს სქოლიო გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 (b) (xxii) პუნქტის მე-3, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტების შესაბამისი ელემენტების მიმართაც.

[52] ამ დანაშაულის რთული ხასიათის გათვალისწინებით, აღიარებულია, რომ მის ჩადენაში, საერთო დანაშაულებრივი მიზნის ნაწილის სახით, შეიძლება მიეღო მოანაწილეობა ერთზე მეტ პირს.

[53] გაიგება, რომ თავისუფლების ამგვარი აღკვეთა შეიძლება, ზოგიერთ გარემოებაში, მოიცავდეს იძულებითი შრომის მოთხოვნას ან პირის სხვაგვარად მომსახურეობით მდგომარეობამდე დაყვანას, როგორც ეს განსაზღვრულია 1956 წლის დამატებითი კონვენციით მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაუქმების შესახებ. ასევე გაიგება, რომ ამ ელემენტში აღწერილი ქმედება მოიცავს პირთა, კერძოდ, ქალების ან ბავშვების, ტრეფიკინგს.

გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ან სხვა პირმა მიიღო ან მოელოდა მიეღო ფულადი ან სხვა სახის სარგებელი სქესობრივი ხასიათის მოქმედებების სანაცვლოდ ან მათთან დაკავშირებით.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-4
ომის დანაშაული: იძულებითი ორსულობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეზღუდა ერთი ან რამოდენიმე იძულებით დაორსულებული ქალის თავისუფლება, რომელიმე მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე გავლენის მოხდენის ან საერთაშორისო სამართლის სხვა მძიმე დარღვევების ჩადენის განზრახვით.

2. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-5
ომის დანაშაული: იძულებითი სტერილიზაცია

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს ჩამოართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი.[54]

2. ქმედება არ იყო გამართლებული არც დაინტერესებული პირის ან პირთა სამედიცინო ან საავადმყოფო მკურნალობით და არც მათი ნამდვილი თანხმობით განხორციელდა.[55]

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxii)-6
ომის დანაშაული: სქესობრივი ძალადობა

ელემენტები

[54] ჩამორთმევა არ არის განზრახული მოიცვას კონტრაცეპციის ღონისძიებებს, რომელთაც პრაქტიკაში არ გააჩნიათ მუდმივი მოქმდება.
[55] გაიგება, რომ "ნამდვილი თანხმობა" არ მოიცავს მოტყუებით მიღებულ თანხმობას.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა სქესობრივი ხასიათის მოქმედება ერთი ამ რამოდენომე პირის წინააღმდეგ ან გამოიწვია ამგვარი პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. ამგვარი ქმედების სიმძიმე ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევის მსგავსი იყო.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქმედების სიმძიმიას დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxiii)
ომის დანაშაული: დაცვის ქვეშ მყოფი პირების სამხედრო მოქმედებებისგან დაცვის მიზნით გამოყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გადააადგილა ან სხვაგვარად გამოიყენა ერთი ან რამოდენიმე სამოქალქო პირის ან შეიარარებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფი სხვა პირების ადგილსამყოფელი.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სამხედრო მიზნის თავდასხმისაგან დაფარვა ან სამხედრო მოქმედებების დაფარვა, ხელშეწყობა ან დაბრკოლება.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxiv)
ომის დანაშაული: თავდასხმა ჟენევის კონვენციების განმასხვავებელი ემბლემების მატარებელ ობიექტებზე ან პირებზე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა ერთ ან რამოდენიმე პირზე, შენობაზე, სამედიცინო შენაერთებსა ან სხვა ობიექტებზე, რომლებიც, საერთაშორისო სამართალის თანახმად, ატარებენ განმასხვავებელ ემბლემას ან იდენტიფიკაციის სხვა მეთოდს, რომელიც მიუთითებს ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ დაცვაზე.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამ პირების, შენობების, შენაერთებისა ან სხვა ობიექტების, რომლებიც ამგვარ იდენტიფიკაციას იყენებენ, თავდასხმის ობიექტად არჩევა.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 8 (2) (b) (xxv)
ომის დანაშაული: შიმშილი როგორც ომის წარმოების მეთოდი

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა სამოქალაქო პირებს ჩამოართვა მათთვის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშნველობის საგნები.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სამოქალაქო პირების დამშევა, ომის წარმოების მეთოდის სახით.

3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (b) (xxvi)
ომის დანაშაული: ბავშვების გამოყენება, გაწვევა და დაქირავება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოახდინა ერთი ან მეტი პირის გაწვევა ან დაქირავება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ან გამოიყენა ერთი ან მეტი პირი საომარ მოქმდებებში აქტიური მონაწილეობისათვის.

2. ეს პირი ან პირები 15 წლის ასაკს მიუღწეველი იყვნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს პირი ან პირები 15 წლის ასაკს მიუღწეველი იყვნენ.

4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c)

მუხლი 8 (2) (c) (i)-1
ომის დანაშაული: განზრახ მკვლელობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა ერთი ან რამოდენიმე პირის მკვლელობა.

2. ეს პირი ან პირები იყვნენ მწყობრიდან გამოსული პირები, სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები,[56] რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

[56] ტერმინი "სასულიერო პერსონალი" მოიცავს არაკონფესიონალურ და კომბარანტის სტატუსის არმქონე სამხედრო პერსონალს, რომელიც აცხორციელებს მსგავს ფუნქციებს.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (i)-2
ომის დანაშაული: დასახიჩრება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დაასახიჩრა ერთი ან რამოდენიმე პირი, კერძოდ, პირის ან პირთა სამუდამოდ დამახინჯებით ან ორგანოსა ან სხეულის ნაწილის სამოუდამოდ მწყობრიდან გამოყვანით ან მოკვეთით.

3. ქმედება არ იყო არც დაინტერესებული პირის ან პირთა სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ჰოსპიტალური მკურნალობით გამართლებული და არც მათი ინტერესების სასაგრებლოდ განხორციელდა.

3. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

5. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (i)-3
ომის დანაშაული: სასტიკი მოპყრობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა.

2. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (i)-4
ომის დანაშაული: წამება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ისეთი მიზნით, როგორიცაა: ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, დაშინება ან იძულება ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას ეფუძნება.

3. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

5. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (ii)
ომის დანაშაული: პირადი ღირსების შელახვა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეურაცხყოფა მიაყენა, დაამცირა ან სხვაგვარად შელახა ერთი ან რამდენიმე პირის ღირსება.[57]

2. შეურაცხყოფის, დამცირების ან სხვაგვარი დარღვევის სიმძიმე იმგვარი ხარისხის იყო, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია პირადი ღირსების შელახვად.

3. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებები.

5. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (iii)
ომის დანაშაული: მძევლად აყვანა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დააკავა, დააპატიმრა ან სხვაგვარად აიყვანა მძევლად ერთი ან რამოდენიმე პირი.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დაემუქრა სიცოცხლე მოესპო, მიეყენებინა ჭრილობა ან გაეგრძელებინა ამ პირის ან პირების პატიმრობა.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის იძულება, ემოქმედათ ან მოქმედებისაგან თავი შეეკავებინათ და ეს წარმოადგენდა ამ პირის ან პირების უსაფრთხოებისა ან გათავისუფლების აშკარა ან ნაგულისხმევ პირობას.

[57] ამ დანაშაულისათვის, "პირები" შეიძლება ასევე გულისხომბდეს გარდაცვლილ პირებს. გაიგება, რომ დაზარალებილ პირს არ სჭირდებოდა შეურაცხყოფის, დამცირების ან სხვაგვარი შელახვის არსებობის პირადად ცოდნა. ეს შემადგენლობა მხედველობაში იღებს დაზარალებული პირის კულტურული წარმომავლობის არსებით ასპექტებს.

4. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (c) (iv)
ომის დანაშაული: განაჩანის გამოტანა ან სასჯელის აღსრულება სათანადო სასამართლო განხილვის გარეშე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განაჩენი გამოუტანა ან სასჯელი აღასრულა ერთი ან მეტი პირის მიმართ.[58]

2. ეს პირი ან პირები იყვნენ ან მწყობრიდან გამოსული პირები, ან სამოქლაქო პირები, სამედიცინო პერსონალის წევრები, ან სასულიერო პერსონალის წევრები, რომლებიც არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამ სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. არ არსებობდა სასამართლოს მიერ წინასწარ გამოტანილი განაჩენი, ან განაჩენის გამომტანი სასამართლო არ იყო „სათანადო წესით დაარსებული“, რაც ნიშნავს, რომ მან არ უზრუნველყო დამოუკიდებლობისა და მიკერძოებლობის არსებითი სასამართლო გარანტიები, ან რომ სასამართლო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, არ უზრუნველყო საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ განუყოფელად აღიარებული ყველა სხვა სასამართლო გარანტია.[59]

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა წინასწარი გადაწყვეტილების არარსებობის შესახებ ან შესაბამის გარანტიებზე უარის თქმის ფაქტი, ასევე ის ფაქტი, რომ ეს გარანტიები არსებითი ან განუყოფელია სათანადო სასამართლო განხილვისათვის.

6. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e)

მუხლი 8 (2) (e) (i)
ომის დანაშაული: სამოქალაქო პირებზე თავდასხმა

ელემენტები

[58] ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული ელემენტები არ იხილავენ წესდების 25-ე და 28-ე მუხლებში ჩამოყალიბებული ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებს.

[59] მე-4 და მე-5 ელემენტებთან მიმართებაში, სასამართლომ უნდა განიხილოს, ყველა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ჩამოართვა თუ არა გარანტიებთან დაკავშირებული ფაქტორების ერთობლივმა შედეგმა პირს ან პირებს სათანადო სასამართლო განხილვის უფლება.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც ასეთი, ან ცალკეული სამოქალქო პირები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა სამოქალაქო მოსახლეობის, როგორც ასეთის, ან ცალკეული სამოქალაქო პირების, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში, თავდასხმის ობიექტად არჩევა.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (ii)
ომის დანაშაული: თავდასხმა იმ პირებსა ან ობიექტებზე, რომლებიც ჟენევის კონვენციების განმასხვავებელ ემბლემებს ატარებენ

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენი პირი თავს დაესხა ერთ ან მეტ პირს, შენობას, სამედიცინო შენაერთს ან სატრანსპორტო საშუალებას ანდა სხვა ობიექტს, რომელიც, საერთაშორისო სამართლის თანახმად, იყენებდა განმასხვავებელ ემბლემას ან იდენტიფიკაციის სხვა მეთოდს, რომელიც მიუთითებდა ჟენევის კონვენციების დაცვაზე.

2. დანაშაული ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამ პირების, შენობების, შენაერთების ან სატრანსპორტო საშუალებების ანდა ამგვარი საიდენტიფიკაციო ნიშნების მატარებელი ობიექტების თავდასხმის ობიექტად არჩევა.

3. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (iii)
ომის დანაშაული: თავდასხმა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან სამშვიდობო მისიაში მონაწილე პერსონალსა ან ობიექტებზე

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში ან გაეროს წესდების შესაბამისად მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში მონაწილე პერსონალი, ნაგებობები, მასალა, ქვედანაყოფები ან სატრანსპორტო საშუალებები.

3. დანაშაულის ჩამდენ პრის განზრახული ჰქონდა ამგვარად მონაწილე პერსონალის, ნაგებობების, მასალის, ქვედანაყოფების ან სატრანსპორტო საშუალებების თავდასხმის ობიექტად არცევა.

4. ამ პერსონალს, ნაგებობებს, მასალას, ქვედანაყოფებს ან სატრასპორტო საშუალებებს გააჩნდათ შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით სამოქალაქო მოსახლეობასთვის და ობიექტებისათვის გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ამგვარი დაცვის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

6. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (iv)
ომის დანაშაული: თავდასხმა დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე[60]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა თავდასხმა.

2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ერთი ან რამოდენიმე შენობა, რომელიც ემსახურებოდა რელიგიას, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას ან სასქველმოქმედო მიზნებს, ისტორიული ძეგლი, საავადმყოფო ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილი, რომელიც სამხედრო მიზანს არ წარმოადგენდა.

3. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამ შენობის ან შენობათა, რომლებიც ემსახურებოდა რელიგიას, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას ან საქველმოქმედო მიზნებს, ისტორიული ძეგლის, საავადმყოფოს ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილის, რომელიც სამხედრო მიზანს არ წარმოადგენდა, თავდასხმის ობიექტად არჩევა.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (v)
ომის დანაშაული: ძარცვა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიითვისა გარკვეული ქონება.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა მესაკუთრისათვის საკუთრების ჩამორთმევა და მითვისება პირადი ან პერსონალური გამოყენებისათვის.[61]

3. მითვისება მესაკუთრის თანხმობის გარეშე მოხდა.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-1
ომის დანაშაული: გაუპატიურება

[60] ამ ადგილას ჟენევის 1949 წლის კონვენციების დაცვის სპეციალური ქვეშ მყოფი პირების ან საპოლიციო ძალების ყოფნის ფაქტი კანონისა და წესრიგის შენარჩუნების ერთაერთი მიზნით, თავისთავად არ გარდაქმინს ადგილს სამხედრო მიზნად.

[61] როგორც ეს ცხადია ტერმინიდან "პირადი ან პერსონალური გამოყენებისათვის", სამხედრო აუცილებლობით გამართლებული ჩამორთმევა არ შეადგენს ძარცვის დანაშაულს.

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენი პირი შეიჭრა[62] პირის სხეულში ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლის ან დანაშაულის ჩამდენი პირის სხეულის რომელმე ნაწილში შეღწევა, თუნდაც უმნიშვნელოდ, სქესობრივი ორგანოს მეშვეობით, ან მსხვერპლის ანალურ ან გენიტალურ ნაპრალში შეღწევა ნებისმიერი ობიექტის ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილის მეშვეობით.

2. შეჭრა განხორციელდა ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებათ, ან შეჭრა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა.[63]

3. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-2
ომის დანაშაული: სქესობრივ მონობაში ყოლა[64]

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განახორციელა მფლობელობის უფლებასთან დაკავშრებული რომელიმე ან ყველა უფლებამოსილება ერთი ან რამოდენიმე პირის მიმართ, როგორიცაა ამ პირის ან პირების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება ან ბარტერული გაცვლა, ან მათზე თავისუფლების მსგავსი აღკვეთის განხორციელება.[65]

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ამ პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მქონე ერთ ან მეტ მოქმდებაში.

3. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-3
ომის დანაშაული: იძულებითი პროსტიტუცია

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიწვია ერთი ან რამოდენიმე პირის ჩაბმა სქესობრივი ხასიათის ერთ ან რამოდენიმე მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში

[62] "შეჭრის" კონცეფცია გაიგება იმდენად ფართოდ, რამდენადაც ის შეიძლება იყოს გენდერულად ნეიტრალური.

[63] იგულისხმება, რომ პირს არ შეეძლო ნამდვილი თანხმობის მიცემა ბუნებრივი, იძულებითი ან ასაკობრივი ქმედუუნარობის გამო. ეს სქოლიო გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 (e) (vi) პუნქტის მე-3, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტების შესაბამისი ელემენტების მიმართაც.

[64] ამ დანაშაულის რთული ხასიათის გათვალისწინებით, აღიარებულია, რომ მის ჩადენაში, საერთო დანაშაულებრივი მიზნის ნაწილის სახით, შეიძლება მიეღო მოანაწილეობა ერთზე მეტ პირს.

[65] გაიგება, რომ თავისუფლების ამგვარი აღკვეთა შეიძლება, ზოგიერთ გარემოებაში, მოიცავდეს იძულებითი შრომის მოთხოვნას ან პირის სხვაგვარად მომსახურეობით მდგომარეობამდე დაყვანას, როგორც ეს განსაზღვრულია 1956 წლის დამატებითი კონვენციით მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაუქმების შესახებ. ასევე გაიგება, რომ ამ ელემენტში აღწერილი ქმედება მოიცავს პირთა, კერძოდ, ქალების ან ბავშვების, ტრეფიკინგს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ან სხვა პირმა მიიღო ან მოელოდა მიეღო ფულადი ან სხვა სახის სარგებელი სქესობრივი ხასიათის მოქმედებების სანაცვლოდ ან მათთან დაკავშირებით.

3. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-4
ომის დანაშაული: იძულებითი ორსულობა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეზღუდა ერთი ან რამოდენიმე იძულებით დაორსულებული ქალის თავისუფლება, რომელიმე მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე გავლენის მოხდენის ან საერთაშორისო სამართლის სხვა მძიმე დარღვევების ჩადენის განზრახვით.

2. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-5
ომის დანაშაული: იძულებითი სტერილიზაცია

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ერთ ან რამოდენიმე პირს ჩამოართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი.[66]

2. ქმედება არ იყო გამართლებული არც დაინტერესებული პირის ან პირთა სამედიცინო ან საავადმყოფო მკურნალობით და არც მათი ნამდვილი თანხმობით განხორციელდა.[67]

3. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vi)-6
ომის დანაშაული: სქესობრივი ძალადობა

ელემენტები

[66] ჩამორთმევა არ არის განზრახული მოიცვას კონტრაცეპციის ღონისძიებებს, რომელთაც პრაქტიკაში არ გააჩნიათ მუდმივი მოქმედება.
[67] გაიგება, რომ "ნამდვილი თანხმობა" არ მოიცავს მოტყუებით მიღებულ თანხმობას.

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა ჩაიდინა სქესობრივი ხასიათის მოქმედება ერთი ამ რამოდენომე პირის წინააღმდეგ ან გამოიწვია ამგვარი პირის ან პირების ჩაბმა სქესობრივი ხასიათის მოქმდებაში ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ, ან იძულებითი გარემოს ან ამ პირის ან პირების მიერ ნამდვილი თანხმობის მიცემის შეუძლებლობის გამოყენებათ.

2. ამგვარი ქმედების სიმძიმე ჟენევის ოთხი კონვენციის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევის მსგავსი იყო.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქმედების სიმძიმიას დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (vii)
ომის დანაშაული: ბავშვების გამოყენება, გაწვევა და დაქირავება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოახდინა ერთი ან მეტი პირის გაწვევა ან დაქირავება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ან გამოიყენა ერთი ან მეტი პირი საომარ მოქმდებებში აქტიური მონაწილეობისათვის.

2. ეს პირი ან პირები 15 წლის ასაკს მიუღწეველი იყვნენ.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს პირი ან პირები 15 წლის ასაკს მიუღწეველი იყვნენ.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (viii)
ომის დანაშაული: სამოქალაქო პირების გადაადგილება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გასცა ბრძანება სამაქალაქო მოსახლეობის გადაადგილების შესახებ.

2. ამგვარი ბრძანება არ იყო გამართლებული შესაბამისი სამოქალაქო მოსახლეობის უშიშროებით ან სამხედრო აუცილებლობით.

3. დანაშაულის ჩამდენი პირი იკავებდა ისეთ თანამდებობას, რომელიც აძლევდა მას საშუალებას, განხორციელებინა ამგვარი გადაადგილება ამგვარი ბრძანების გაცემით.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მუხლი 8 (2) (e) (ix)
ომის დანაშაული: ვერაგული მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მიიპყრო ერთი ან რამოდენიმე პირის ნდობა ან რწმენა იმისა, რომ მათ ჰქონდათ უფლებამოსილება ან ვალდებული იყვნენ მიეცათ შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვა.

2. დანაშაულის ჩამდენ პირს განზრახული ჰქონდა ამგავრი ნდობის ან რწმენის ღალატი.

3. დანაშაულის ჩამდენმა პირმა მოკლა ან დაჭღა ეს პირი ან პირები.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გამოიყენა ეს ნდობა ან რწმენა ამ პირის ან პირების სიცოცხლის მოსასპობად ან ჭრილობის მისაყენებლად.

5. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგის მხარეს მიეკუთვნებოდნენ.

6. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (x)
ომის დანაშაული: დანდობაზე უარის თქმა

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა განაცხადა, რომ არავის დანდობა იქნება.

2. ამგავრი განცხადება ან ბრძანება გაცემული იყო მოწინააღმდეგის დაშინების ან საომარი მოქმედებების დაუნდობლობის საფუძველზე წარმართვის მიზნით.

3. დანაშაულის ჩამენი პირი ეფექტურად მეთაურობდა ან აკონტროლებთა დაქვემდებარებულ შეიარაღებულ ძალებს, რომლთაც მიეცათ ეს განცხადება ან ბრძანება.

4. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

5. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (xi)-1
ომის დანაშაული: დასახიჩრება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა დაასახიჩრა ერთი ან რამოდენიმე პირი, კერძოდ, პირის ან პირთა სამუდამოდ დამახინჯებით ან ორგანოსა ან სხეულის ნაწილის სამოუდამოდ მწყობრიდან გამოყვანით ან მოკვეთით.

2. ქმედებამ ამ პირს ან პირებს სიცოცხლე მოუსპო ან სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. ქმედება არ იყო არც დაინტერესებული პირისა ან პირთა სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ჰოსპიტალური მკურნალობით გამართლებული და არც მათი ინტერსების სასაგრებლოდ განხორციელდა.[68]

4. ეს პირი ან პირები იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში.

5. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (x)-2
ომის დანაშაული: სამედიცინო ან სამეცნირო ექსპერიმენტი

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა ერთ ან რამოდენიმე პირზე სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩაატარა.

2. ქმედებამ ამ პირს ან პირთ სიცოცხლე მოუსპო ან სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა ან მთლიანობა.

3. ქმედება არ იყო არც დაინტერესებული პირისა ან პირთა სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ჰოსპიტალური მკურნალობით გამართლებული და არც მათი ინტერსების სასაგრებლოდ განხორციელდა.

4. ეს პირი ან პირები იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში.

5. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

6. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მუხლი 8 (2) (e) (xii)
ომის დანაშაული: მოწინააღმდეგის ქონების განადგურება ან ხელში ჩაგდება

ელემენტები

1. დანაშაულის ჩამდენმა პირმა გაანადგურა ან ხელში ჩაიგდო გარკვეული ქონება.

2. ეს ქონება მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებას წარმოადგენდა.

3. ეს ქონება განადგურებისაგან ან ხელში ჩაგდებისაგან დაცული იყო შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით.

4. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ქონების სტატუსის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

5. განადგურება ან ხელში ჩაგდება არ იყო გამართლებული სამხედრო აუცილებლობით.

[68] თანხმობა არ წარმოადგენს გამართლებას ამ დანაშაულისათვის. დანაშაული კრძალავს ნებისმიერ სამედიცინო პროცედურას, რომელიც არ არის ნაკარნახევი დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით და არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო სტანდარტებს, რომლებიც, სამედიცინო ხასიათის მსგავს გარემოებებში, გამოყენებულ იქნებოდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც პროცედურის ჩამტარებელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და არანაირი გზით არა აქვთ შეზღუდული თავისუფლება. ეს სქოლიო გამოიყენება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (e) (xi)-2 ქვეპუნქტის შესაბამისი ელემენტის მიმართაც.

6. ქმედება განხორციელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან იყო დაკავშირებული.

7. დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003